ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37221471**
თარიღი:**27/05/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 27 მაისს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში მერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

_წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები მიმდინარე წლის დასაწყისისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 106.7%-ით. ეს ნიშნავს, რომ დაგეგმილი 27814,0 ათ ლარის ნაცვლად, მიმდინარე წლის 1 ივნისის მდგომარეობით ბიუჯეტი განისაზღვრა 57497,86 ათასი ლარით. როგორც ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმილი დონეებიდან იკვეთება, მისი ზრდის მაჩვენებელი სრულ თანხვედრაშია ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილ მოცულობებთან;

_ბიუჯეტის პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ დაფინანსება იზრდება 27504,4 ათასი ლარით და შეადგენს 33764,4 ათას ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 58,8%-ია. აღნიშნული ნიშნავს, რომ ეს პრიორიტეტი ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებად;

_პროექტის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება გაიზრდება 26207,0 ათასი ლარით და შეადგენს 30167,0 ათას ლარს, ხოლო საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება კი გაიზრდება თითქმის 1,3 მილიონი ლარით და შეადგენს 3878,0 ათას ლარს;

_ ცვლილებების პროექტში განსაზღვრულია განათლების დაფინანსების ზრდა 1826,0 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი განათლების 523,0 ათასი ლარით.

_ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს თან ახლავს ინფორმაციული მასალა, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებული პროექტები. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი